

L'oeuvre populaire

სახალხო საქმე

Edition géorgienne.



გამოცემა უნსჯეთში მყოფ ხეც.-ფედერ—ბის კომიტეტისა.

1928 წ. მაისი.

№ 5.

რვეული მესუთე.



არჩილ ჯორჯაძე (1872—1913)

გიორგი დეკანოზიშვილი (1868—1910)

26 მაისი ცაცხალია.

უდიდესი მნიშვნელობის დღეა საქართველოს ისტორიაში 1918 წ. 26 მაისი. ქართველი ერის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი თავდასავალის ერთი საუკეთესო ფურცელთაგანია ის აქტი დამოუკიდებლობისა. რომელიც გამოცხადდა ამ დღეს: «საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა». რაც უნდა ძლიერი იყოს ის ქრილობა, კულტურული დაცემა, ზნეობრივი მოდუნება, სულიერი დაავადება, რომელიც გამოიწვია ქართველ ერში რუსეთის გრძელმა ბატონობამ, თავისუფლების აღდგენამ 26 მაისს განამთვლა ყველა ტკივილი და დაუბრუნა ერს ძალა სიცოცხლის და შემოქმედების. რაც უნდა დიდი იყოს ნაკლი და შეცდომა მეოცე საუკუნის ქართველ მოღვაწეებისა, 26 მაისით მათ გამოისყიდეს ყოველი ცოდვა, ამალდნენ მშობელი ერის ისტორიული მისწრაფების სრულ შეგნებამდე და დაუდვეს ურყევი საძირკველი ახალ საქართველოს. და რაც უნდა მწარე იყოს დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, რაც უნდა ბოროტად, მწავედ, მიიმედ ვგრძნობდეთ მოსკოველ მოძალადეთა და მათ მოსყიდულ ქართველ მოღალატეთა უღელს, 26 მაისის სახე მუდამ წინ გვიდგია, იმედით და სასოებით აღავსებს ჩვენს გულს და მის მიერ შთაბერილი სიმხნევე, სიმტკიცე და რწმენა თავისთავის პატრონობისა ყოველთვის შეგვაძლებინებს, გავუმკლავდეთ მტერს და საბოლოოთ დავიბრუნოთ წართმეული თავისუფლება.

საიდან წარმოსდგება ასეთი მნიშვნელობა 26 მაისისა? რა შეადგენს მის ძლიერებას? ის, რომ მიუხედავად იმ კონკრეტულ გარეგან პირობებისა, რომელთაც ხელი შეუწყვეს მის წარმოშობას, 26 მაისი არის ბუნებრივი განვითარება ჩვენი ისტორიული არსებობის. გამოხატულება ჩვენი ეროვნული ტრადიციების. თავდაცვის დაუშრეტელი ენერჯის და გამძლეობის. 26 მაისი იყო აუცილებელი დასკვნა მთელი ჩვენი წარსულის, იმ თავდადებულ ბრძოლების და გმირობის რომელსაც იჩენდნენ მუდამ ჩვენი წინაპრები თავის სამშობლოს და ეროვნული სახეობის შესანარჩუნებლად. გავლილ წლების და საუკუნოების მეტბოლოთა სულმა უწილავად, მაგრამ გადაჭრილის ბრძანებლობით მოსთხოვა აწინდელ ქართველობას დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს თითქოს გარდაუვალი მოქმედება იყო და ის რომ არ შესრულებულიყო,

ეს იქნებოდა უარყოფა ჩვენი ისტორიის, წაშლა ორი ათასის თუ მეტის წლის მისწრაფების, მუშაობის. ბრძოლის. 26 მაისი არ შობილა არარაობისაგან, იგი არ ყოფილა ნაყოფი განყენებული მსჯელობისა ან რომელისამე გარეშე გავლენისა; რაც მოხდა 26 მაისს. მოხდა იმიტომ, რომ მისი ფესვები ღრმად იყო გადგმული ერის ბუნებაში, იყო შემუშავებული დიდ მანძილზე გადაჭიმული ცხოვრების და განმტკიცებული მუდმივი განცდებით, შეგნებით, სიყვარულით. იმიტომ, რომ იყო ძველი საქართველო.

26 მაისი წარმოშვა ქართველი ერის წარსულმა, ძველმა ისტორიულმა საქართველომ. ხოლო 26 მაისმა წარმოშვა ახალი საქართველო, მისი აწმყო და მომავალი და მოხდა გამთელება გაწყვეტილი ეროვნული არსებობის, გაერთიანება ძველი და ახალი საქართველოსი. ამაშია უაღრესი ღირებულება 26 მაისისა, აქაა მისი უდიდესი ძალა და გავლენა. ის უკავშირებს დღევანდელს საქართველოს გუშინდელს—ქართველი ერი დღეს არ დაბადებულა—წარსულში კვათლობს საფუძველს და სიმტკიცეს აწინდელისა და მომავლისთვის, და უკანასკნელის მეოხებით აზრსა და დანიშნულებას აძლევს გარდასრულს. საქართველო იყო, საქართველო არის, საქართველო იქნება—აი რა არის 26 მაისი, აი რას გვაძლევს ეს ისტორიული დღე.

«არ მომკვდარა. მხოლოდ სძინავს», იტყოდა პოეტი მანოზაში მყოფ სამშობლოზე. სამშობლომ გაიღვიძა 26 მაისი. ამოისუნთქა სავსე გულით. გაშალა მხარმკლავი, დასტკბა თავისუფალი ყოფით, იგრძნო თავის სხეულში თავის ძველთა სისხლი, მისი გული აძგერდა მთელი თავის ისტორიის გაცხოველებით. გამოფხიზლდა მისი გონება, გაწრთვნილი და გამობრძმედილი მრავალის საუკუნის წიაღში და წარსულის გამოცდილებით აღჭურვილი მხნედ შეუდგა ახალის ცხოვრების მოწყობას. ძველი საქართველო გადმოვიდა ახალში, ახალი ძველის გაგრძელებაა, საქართველო ერთია. მხოლოდ სამი წელიწადი ძლივს და დასცალდა ფეხზე დამდგარ, განახლებულ ქვეყანას და მისი ისტორიული მტერი კვლავ დაესხა თავს და თავის ურდოებით დაიკავა მისი მიწაწყალი. მაგრამ 1801 წლის ამბავი აღარასოდეს განმეორდება. დღევანდელი რუსეთი ველარ შეაჩერებს 26 მაისს აღდგენილ საქართველოს, და იმდენი ძალა და სიცხოველე შეიძინა ქართველმა ერმა დამოუკიდებლობის წლებში, ისეა გამსჭვალული თავის თავის რწმენით, თვითარსებობის თავგანწირული სიყვარულით, იმდენად აღი-

ზარდა და ამაღლდა ის მოკლე დროში, ისეთი სიძულვილი აქვს უცხოთა ბატონობის, ისეა მოწყურებული თავის ქონებრივს, პოლიტიკურს, სოციალურს, გონებრივს განვითარებას, რომ აწ ვერავითარი ძალა დედამიწაზე, ვერავითარი ბოლშევიკური ძალადობა და თვალთმაქცობა ვერ შეარყევს მას და ვერ შეაცვლევინებს ამ ათი წლის წინად არჩეულ გზას. რაც უნდა დასჭიმონ ბოლშევიკებმა თავისი მკლავები და რაც უნდა მწარე საზიზღარ საშუალებებს მიმართონ, ვერასოდეს ეღიროსებიან ქართველი ერის მოტეხას, საქართველოს მოსპობას, 26 მაისის უკან გადაგდებას.

26 მაისი მიტომ კი არაა ძვირფასი მხოლოდ, რომ სამი წლის დამოუკიდებლობა მოგვცა, არამედ იმიტომ უმთავრესად, რომ ხელახლად შვა საქართველო, საქართველო ისტორიული, მდიდარი კულტურის, სახელოვანი წარსულის, და გამზადებული დღევანდელი საუკეთესო კაცობრიობის განვითარების მისაღებად. 26 მაისმა საქართველო დაფერფლილი, თითქოს მივიწყებული, უცნობი კვლავ მოუვლინა ქვეყნიერებას. მთელს დედამიწას, მოუტანა და ამცნო ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, მოუპოვა ნდობა და პატივისცემა საქართველოს და ამიერიდან ვერავინ წაშლის მის სახსენებელს, ვერავინ აიგდება აბუჩად მის უფლებებს, ვერ მისცემს დავიწყებას მის მოთხოვნილებას. 26 მაისის აქტით საქართველო შემოვიდა ახალ დროში, როცა ერთა დამოუკიდებლობა და თანასწორუფლებიანობა ქვაკუთხედიან საერთაშორისო მშვიდობიანობის და წარმატების და ეროვნულ სუვერენობის დროში ფრიალებს ყველგან. და ამოა ყოველი ცდა მოსკოველ ოკუპანტებისა, რომ განამტკიცონ თავისი ბატონობა საქართველოში და ჩაჰკლან ქართველი ერის თავისუფალი არსებობა.

ამაოა.

საქართველო დამოუკიდებელი იქნება, ქართველი ერი დაამსხვრევს მონობის ხუნდებს და თვითონ დაეპატრონება თავის სამშობლოს. ეს გარდაუვალია.

26 მაისი ცოცხალია!

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

«მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

«მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრი-

საგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

«რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

«დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანიზაციები შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

«ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

«ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმადემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.»

დამოუკიდებლობის აქტი დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ და წანუძღვარა მას ეს სიტყვები:

«საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:»

ს ა მ ო წ კ ლ ო.

დიდ მსოფლიო ბოროტებას, 1914 წლის ომს—ომს, რომელმაც მილიონები იმსხვერპლა, მილიარდები ქონებისა შთანთქა, მსოფლიო ინვალიდებით აავსო და ფერთა შორის შავი ფერი გაამეფა, — თან მოჰყვა რუსეთის დიდი რევოლიუცია. ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო — შეიძლება ნორმალურ პირობებში წლები დაგვიანებოდა და ათეულებიც, დიდი ომის დაწყების სამი წლის შემდეგ განხორციელდა. გამარჯვებულთა კოალიციაში მყოფი რუსეთი, დამარცხებულებზე უფრო დამარცხდა. მისი დამარცხება და დიდი რევოლიუცია, რუსეთის მადიან საზღვრებში ძალით მომწყვდეულ პატარა ერთა გამარჯვება იყო, — გამარჯვება ჩვენიც!

1801 წელს მტერს უნდოდა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივობის ისტორიის უკანასკნელი გვერდი დაწერილიყო, და ახალი რუსეთის, დიდების ზღაპარი, საქართველოს ისტორიისთვის «იყო და არა იყო რა» — თი დაეწყო, მაგრამ მწარეთ მოტყუვდა «ბებია» რუსეთი. მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულმა აჯანყებებმა ჩვენს ეროვნულ ისტორიაში ახალი ფურცლები ჩააკერა და 1918 წლის 26 მაისმა საქვეყნოთ სთქვა, საქართველო იყო, არის და იქნება.

მძიმე ხუნდებით უმოქმედობისგან შეწყვეტილი სახელ-



მწიფებრივი მაჯისცემა ხელახლად მეტი სიმძლავრით, მეტის სიცოცხლით აფეთქდა. თავისუფლებას და თვითმოქმედებას მოწყურებულმა ერმა სამ წელში ააგო, რასაც მტერი საუკუნეზე მეტს ანგრევდა.

1918 წლის 26 მაისი—მზიანი დღეა საუკუნეზე მეტ გრძელ უკუნეთ ღამის შემდეგ, დღე დამოუკიდებელ ცხოვრების დაწყების, დღე ერის გამოცოცხლების და გამოფხიზლების, საკუთარი ძალის იმედის, ეროვნული შემოქმედების, ახალი ეროვნული ცხოვრების.

არარაობამდე დაყვანილი მემკვიდრეობა გვხვდა წილად. განადგურებული სახელმწიფოებრივი აპარატი, მივიწყებული ეროვნული ტრადიციები, ყოველივე ქართულის წინააღმდეგ წარმოებული ჯვაროსნული ომის მძიმე შედეგები. გარდა ამისა, გარეშე გართულებანი. ყოველგვარი დაბრკოლებანი ეღობებოდა წინ ჩვენს დამოუკიდებლობას პირველ თვეებში. დარღვიული ფრანტი,—ისტორიული მტრის წინააღმდეგ, ჩვენი, ჯერ კიდევ ნორჩი ძალის ამარა მიგდებული. «მოგრომულათ» განწყობილი, უსაქმოთ მოხეტიალე რუსის ჯარი. ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებით დაკარგული საგრძნობი ნაწილი ჩვენი ტერიტორიის. მეტად მძიმე იყო ატმოსფერა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს თავისუფლად სუნთქვა შეძლებოდა. მეტად დახლართული პოლიტიკური კვანძები, მეტად დიდი—ქაოსი, რომ უვნებლად და უმტკივნეულოთ ყველაფერ ამისთვის თავი დაგვეღწია.

ასეთი იყო პოლიტიკური ამოცანა, რომელიც მეოცე საუკუნის პირველმა მეოთხედმა საქართველოს დაუსვა. ასეთი იყო ჩვენი დამოუკიდებლობის პირველი თვეების გამოცდა.

მეცხრამეტე საუკუნე ქართველი ერის წინააღმდეგ იბრძოდა, თითქმის მოგვტეხა, მოგვადუნა და დაგვაუძღურა იმდენად, რომ რუსეთმა «შესაძლებლად» ცნო 100 წლის ბატონობის თავზე, საქართველოს ისტორიის უკანასკნელი აქტი შეესრულებინა, მაგრამ აქაც ანგარიში წაუხთათ,—ხელის შემშლელნი გაჩნდნენ. მტერს 100 წლის ზეიმი ჩაუშხამეთ. მოწიმიეთ პატარა მჩქეტარ ნაკადად ჩაურბინეთ—ზეიმი ჩაუგრძლიეთ. 26 მაისის მოლოდინში, ეროვნულ კერის გარშემო ვფუხსფუსებდით, თითქმის მიტყრფლილ ეროვნულ ნაკვერცხალს ფუტკრისებური სიბეჯითით თავს ვეფლებოდით და მინელებულ კერას დაუღალავად ცეცხლს უკეთებდით. სასიკვდილო სარეცელზე ძალით გაკრული ერის, იმედით აღსავსე ჭირისუფალი მხოლოთ ჩვენ ვიყავით.

მეოცე საუკუნის ამოცანას მომზადებული დავხვდით. უმძიმეს პირობებში, ისტორიისთვის უჩვეულო მაგალითი ენერჯის და სიფხიზლის, შემოქმედების და სახელმწიფოებრივი ნიჭის ცხადპყო ჩვენმა ერმა.

ეს ფაქტი ევროპის ყველა სახელმწიფომ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო და დე-იურეს ცნობით დაადასტურა.

წითელმა რუსეთმაც გვიცნო და ძველ რუსეთის «პრეტენზიებზე» საქართველოსადმი ხელი აიღო.—მხოლოდ ცხრა თვე შეძლო ბოლშევიკურმა რუსეთმა თავის «პატიოსანი» სახელმწიფოებრივი სიტყვის შესრულება. მხოლოდ ცხრა თვე გაგრძელდა რუსეთის ჩვენადმი «კეთილმეზობლობა».

ბოლშევიკებს ქართველი ერის სახელმწიფოებრივი უნარიანობა აღიზიანებს. ჩვენი დაპყრობის შვიდი წლის განმავლობაში, ათასჯერ გადაღეჭილი კიდევ გადაღეჭილა, მრავალჯერ თქმული კიდევ თქმულა.—ჩვენ ეს გავაკეთეთ—ის გავაკეთეთო...

სახელდობრ რა «ეს-ის» გააკეთეს, ამაზე არ ლაპარაკობენ ხოლმე,—თავისქებას «მორცხვობენ». ქართველმა ერმა დამოუკიდებელ ცხოვრების დროს, რა გააკეთა, ვეცდებით მოგავიხსინათ.—ის, რასაც მოსკოვთან ერთად, შვიდ წელზედ მეტს, უშედეგოთ ებრძვიო.

შევადაროთ დებეშური სისხარტით 1918—20 წლის რუსეთი და საქართველო.

1918 წლის რუსეთი—რუსეთი ქაოსის, არევიარევის, სამოქალაქო ომის, ნგრევის და უპატრონობის.

1918 წლის საქართველო—საქართველო გარეშე დაბრკოლებათა გადალახვის, არა-ადაშიანურ სიძნელეთა ძლევის, მშვიდობიანი გარდაქმნის, ახალი ეროვნული აღმშენებლობის, პატრონი საკუთარი თავის.

1919 წლის რუსეთი—რუსეთი უკულტურობის, გამოსადეგ ძალთა ხვრეტის, საზოგადოებრივი ცხოვრების გაყინვის, ხალხის პასივობის.

1919 წლის საქართველო—საქართველო ეროვნულ კულტურის გაგრძელების, ყველა სასიცოცხლო და სასარგებლო ძალთა შეკრების, საზოგადოებრივ ცხოვრების გამოცოცხლების, ხალხის აქტივობის.

1920 წლის რუსეთი—რუსეთი შიმშილის, კაციკამიობის, დედათა ბავშვებზე ნადირობის, ხალხის გაველურების, ხეების დაღრღნის, შიმშილისგან სასოწარკვეთილთა ას-ათასეულთა

მსხვერპლის. ამასთანავე, რაც გასაკვირია დიდი, «ფულიანობის».

1920 წლის საქართველო—საქართველო მართალია სურსათის ნაკლებობის ისე, როგორც ყველა, დიდ ომში და იქა აქ პატარა ომებში მონაწილე სახელმწიფო, მაგრამ ქართველი ბავშვები დედებს უშიშრად პურს თხოვდნენ და დაკვლის შიშით მათგან არ გარბოდნენ. არც ხეები დაგვიღრღნია, გუდით მასიური ხეტიალი და ლუკმა პურისთვის ერთმანეთის დაჟლეტა არ დაგვჭირებია. უფულონი ვიყავით, მაგრამ ამასთანავე დიდ ფულიანი. მილიარდები არ გვითვლია და არც გოდრებით ფული გასასყიდად გვიტარებია.

ჩვენ კიდევ მოვიყვანდით შედარებებს, მაგრამ ამის შესაძლებლობა საქართველოს დაპყრობით მოგვისსეს.—რატომ?

იმიტომ, რომ საქართველომ თავის პატრონობა შეძლო. იმიტომ, რომ საუკუნეზე მეტი ბრძოლა არ აღმოჩნდა საკმარისი ქართველი ერის თვითშეგნების და ეროვნულ სიცოცხლის მოსასპობად.

ჩვენ ვიცით, რომ ბოლშევიკები «სულწასული» ხალხია. მათ უნდათ რამდენიმე წელში მოსპონ ის, რაც 117 წლის მონობის მიუხედავად შევინარჩუნეთ. ჩვენ, ბოლშევიკებს ვეთანხმებით, რომ მათი ბორკილები უფრო მძიმეა, მათი ბრძოლის მეთოდები უფრო მკაცრია, რომ ქართველი ერის გაღებული მსხვერპლი უფრო დიდია, რომ დაუტირალთა საფლავები დღითი დღე იზრდება, რომ რუსეთის ვერან ადგილებში გადასახლებულთა გულს, საიმედოთ სამშობლოს ცაფირუნი თალად არ აკრავს, მაგრამ მტერს ერთი «პატარა რამ» ავიწყდება. მას ავიწყდება, რომ სამი წელი წინ გვისწრობდა ახალ მონობის დაწყებამდე. სამი წელი—ერთი ფიქრის, ერთი აზრის, ერთი მისწრაფების. სამი წელი ქართველი ერის გაერთიანების, მისი გაფოლადების და სიმტკიცის, მისი ეროვნული სულის გაფაქინების და ამაღლების. სამი წელი, რომელმაც რუსულ «საქმეს» საქართველოში სამუდამოთ წესი აუგო. მათ ავიწყდებათ, რომ სამმა წელმა მათ სამი საუკუნის თავსამტრევი საქმე გაუჩინა. ქართველმა ერმა ეს რუსეთის «წითელკანიანებს» 24 წლის აგვისტო-სექტემბრის გმირულ დღეებში აგრძნობინა, უფრო მძლავრად ვიდრე, გასულ საუკუნის «შავკანიანებს».

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ დღევანდელი რუსეთი 1801 წლის ძლიერი რუსეთი აღარ არის და დღევანდელი საქართველო 1801 წლის საქართველო—შინაურ და გარეშე

ბრძოლით მოღლილი, დაქანცული და დაქუცმაცებული. ქართველ ერს კარგად აქვს გათვალისწინებული განსხვავება ძველ და ახალ რუსეთს შორის, შინაურ და გარეშე პირობების, ეკონომიურ და პოლიტიკურის, თვალწინ უდგას მაშინდელ და დღევანდელ რუსეთის. მსოფლიო სასწორზე წონის დიფერენცი. ნაცნობია მისთვის დიდი ომის შემდეგ შექმნილი ახალი მსოფლიო, დიდი ხნით დაწყებული გამათავისუფლებელი ეროვნული მოძრაობანი, ახალი გადაჯგუფებანი და მრავალნაციონალურ ერთეულთა ჩამოყალიბებანი. რუსეთიც ცხადია ვერ გაექცა ამ სინამდვილეს. მსოფლიო რუკაზე მთლიანი პოლონეთი შემოიხაზა. მეზობლად ლიტოვეთი, ლატვია და ესტონეთი, ზევით კიდევ ფინეთი. საქართველოც გაეშიჯნა რუსეთს, გვერდში დიდი უკრაინა ამოუდგა, მეზობლად მთამაც თავის სიტყვა სთქვა. აზერბეიჯანი, სომხეთი, ჩრდილო კავკასია და კასპიის ზღვის იქით თურქესტანი,—ყველამ თავის საკუთარი ეროვნული ცხოვრება დაიწყო.

ბოლშევიკებმა რუსეთს სამხრეთი უკანვე დაუბრუნეს.

დასავლეთ-ჩრდილოეთისკენ წითელი იმპერიალიზმი ხარბი თვალით იცქირება, მარჯვე დროზე ოცნებობს. წარმოიდგინეთ, პატარა ერის დამოუკიდებლობის მოსარჩლედაც გამოდის და ოფლში იწურება კეთილ-მეზობლობის დასამტკიცებლად, მაგრამ ვინ მიიღებს გულთან ახლოს შეძავურ ფარისევლობას.

დასავლეთ ჩრდილოეთს რუსეთი სამუდამოთ გამოეთხოვა. უნდა გამოეთხოვოს სამხრეთსაც.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ათი წლის თავზე, ჩვენი მტკიცე რწმენა და ქართველი ერის მოთხოვნილებაა—მსოფლიო რუკაზე უნდა შემოიხაზოს საქართველო. ჩვენ ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლას ეს გამარჯვების გვირგვინი თავზე უნდა დაედგას. ქართულ ისტორიას არ ახსოვს, რომ ქართველ ერს ასეთ ეროვნულ გაერთიანების დროს დამარცხება ეწვნო. მას ახსოვს ბატონობა უცხო-ერის,—ურდუთაგან დამარცხება, მაგრამ ისიც ახსოვს, რომ საქართველოში გაეთხარა საფლავი მის დამამხობელ დიდ სახელმწიფოებს.

თებერვალში მტერმა ჩვენი შვიდი წლის მონობა იდღესასწაულა.

დღეს ქართველი ერი დღესასწაულობს,—მამულიშვილთა, მტრისთვის უხილავი, ლანდები ეროვნული დროშით წინ მიგვიძღვებიან, ბრძოლაში გვამხნევენ და გვახალისებენ.

ჩვენი გამარჯვების თავდობია სამი წელი, თებერვლის ბრძოლა, აგვისტო-სექტემბრის დღეები და თავდადებულთა ვაბნეული საფლავები.

ხ. კუქაძე-თეგლი.



არჩილ ჯორჯაძე—ვიორჯი დეკანოზიშვილი.

თუთხმეტი წელიწადი შესრულდა გასულ აპრილში, რაც დავეკარგეთ ჩვენი საუკეთესო ამხანაგი და მასწავლებელი არჩილ ჯორჯაძე და მომავალ წოდებებში იქნება თვრამეტი წელიწადი, რაც სამშობლოს მოწყვეტილი უცხოეთში გარდაიცვალა ერისთვის და პარტიისთვის დაუვიწყარი გიორგი დეკანოზიშვილი.

მათი ხსოვნა ყოველთვის ცხოვლად უნდა იყოს აღბეჭდილი ჩვენს გულში. აწინდელ მძიმე პირობებში განსაკუთრებით გვმართებს მათი მოგონება. ნათლად წარმოდგენა მათი მუშაობის, სიყვარულის, მისწრაფების, სიმტკიცის და სიმხნევის. ერთი—არჩილი—იყო იდეური ჩვენი ხელმძღვანელი, ჩვენი პოლიტიკური და სოციალური მოღვაწეობის საფუძვლების გამომრკვეველი, სამოქმედო გზის მაჩვენებელი, გონებრივი აღმზრდელი პარტიისა. მეორე—გიორგი—იყო პრაქტიკული მოღვაწე, იშვიათის ენერგიით აღჭურვილი, გასაოცარი ორგანიზატორი, თავგანწირული მებრძოლი. ამ ორი დიდი ამხანაგის სახე მუდამ გვასწავლის, თუ რა არის ჩვენი საზოგადოებრივი მოვალეობა, თუ როგორ უნდა მივუდგეთ დღევანდელ პირობებს, თუ რაოდენი სიფხიზლე გვჭირია საკითხების გარკვევაში, თუ როგორის მონდომებით უნდა ვიმუშაოთ და არასოდეს დავივიწყოთ, რომ პარტია მოწოდებულია შეუწყვეტელი მოქმედებისათვის და მისი იდეა—თუნდაც უმშვენიერესი—იმდენადაა ძვირფასი ცხოვრებისათვის. რამდენად ყოველდღე ხორცს შეისხამს, ყოველდღე საქმედ იქცევა. ჩვენ არჩილი და გიორგი უნდა წარმოვიდგინოთ მარად როგორც ერთი განუყოფელი არსება—მუდმივი მისწრაფება, მუშაობა საყვარელი იდეის განსახორციელებლად. არჩილმა მისცა პარტიას სახელმძღვანელო იდეები, გიორგიმ პრაქტიკული სიმტკიცე. საქირთა ერთიც, საქირთა მეორეც და მათი შეერთება—აი აუცილებელი პირობა გამარჯვებისათვის.

არჩილის და გიორგის მთელი მოღვაწეობა მიმართული იყო საქართველოს აღდგენისაკენ, ქართველი ერის განთავისუფლებისაკენ. ერთიც და მეორეც თავის ღრმა რწმენით გულს

წრფელი სოციალისტი იყო, მაგრამ მათი სოციალიზმი ჰგულისხმობდა თავისუფალს ეროვნებას, თავისუფალს ქართველს ერს და ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის იყო უპირველესი საქმე მათვის. მათ ამოიღეს პირველებმა ხმა ქართველი ერის შელახულ უფლებებზე, წამოაყენეს გარკვეული ეროვნული პოლიტიკური პროგრამა, ნათელჰყვეს უდიდესი როლი ეროვნების და ეროვნულ შემოქმედების საზოგადოების ცხოვრების ყოველ დარგში. არჩილი და გიორგი საქართველოს ეროვნული აღორძინების შესანიშნავი მოღვაწეები არიან და მათი მნიშვნელობა დაუფასებელია, მათ გავლენას ვერ უარყოფს ვერც ერთი დღევანდელი ქართველი.—დღეს მთელს ქართველ ერს მტკიცე ნათელი ეროვნული მისწრაფება აქვს—სრული ეროვნული სუვერენობის აღდგენა—მაგრამ არავინ უნდა დაივიწყოს. თუ რაოდენი სულიერი ძალა დასჭირდათ პირველ ეროვნულ მებრძოლთ ამ 25-30 წლის წინად ქართველი ხალხის პოლიტიკურ აღსაზრდელად.

და რომ ვიგონებთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, როცა მთელმა ქართველმა ერმა ერთხმად მოითხოვა და შეასრულა, რისთვისაც თავდადებულნი იყვნენ არჩილი და გიორგი, ჩვენ განსაკუთრებულის სიყვარულით და მადლობით უნდა გავიხსენოთ მათი სახელები. ქართველი ერი აღსდგა, აღსდგა სამუდამოთ და ვერავითარი ძალადობა ვეღარ შეაბრუნებს აწ მის არსებობას. მხნედ და მტკიცედ მუშაობა იმისთვის, რაც ისე უყვარდათ არჩილს და გიორგის,—აი რას გვეუბნება მათი მოგონება და პატივისცემა.

წმინდი გიორგი უცხოელ სოციალისტს.

ძვირფასო ამხანაგო!

მაპატიეთ, რომ უცნობი ადამიანი, შვილი დამონებული საქართველოსი, მაგმართავთ წერილით. მაგრამ პატივისცემა თქვენდამი და ის გარემოება, რომ თქვენ გულითადი მეგობარი ხართ ჩემი სამშობლოსი, და ამავე დროს ერთი იმ პირთაგანი, რომლებიც ასე თავგამოდებით მოღვაწეობენ დღეს სოციალიზმის გამარჯვებისა და ერთა შორის სამართლის და მშვიდობიანობის დასამყარებლად—მაბედვინებს მივაქციო თქვენი ყურადღება იმას, თუ როგორი ტკივილის გრძობა შეუძლია აღძრას დაჩაგრულ ერებში მ. ს. ინ. ეგზეკუტივის უკანასკნელ სხდომის ერთს დადგენილებას. ეს

დადგენილება გამოწვეულია უკრაინელ სოციალისტების საქციელის მიერ, მაგრამ გაფართოვებულია და ეხება ყველა განთავისუფლებისათვის მებრძოლ ერის სოციალისტებს, და განსაკუთრებით თურმე ქართველებს, როგორც ამაზე ხაზგასმით მიგვიტითეს რუსმა სოციალისტებმა თავიანთ განცხადებში. ამ დადგენილებაში სხვათა შორის ნათქვამია: «სოციალისტურმა პარტიებმა, რომელნიც წარმოადგენენ მუშათა კლასის ინტერესებს და რომელნიც იძულებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ ბრძოლაში ეროვნულ თავისუფლებისათვის, ყოველთვის უნდა დაიცვან თავისი დამოუკიდებლობა საზოგადო ბურჟუაზიულ-ეროვნულ მოძრაობის მიმართ და უნდა ეცადნენ, მოერიდონ ყველაფერს იმას, რასაც შეუძლია აღძრას მუშათა მასებში ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სოციალისტური პარტია იზიარებდეს ბურჟუაზიულ შოვინიზმს და მის ტაქტიკას ნაციონალურს. მხოლოდ მაშინ, თუ სოციალისტური პარტია განეთვისება ბურჟუაზიულ პარტიების თავაშვებულ ნაციონალიზმს, რომელიც ცთილობს დააშოროს მასები კლასობრივ ბრძოლას და ჩააბას ისინი ერთა შორის ბრძოლაში» და სხვა.

ცოტა არ იყოს, აქ მოყვანილი აზრი ძველს განყენებულ შეხედულებას მოგვაგონებს, როცა ფიქრობდენ, რომ სოციალისტისათვის, მუშისათვის სამარცხვინო იყო ბრძოლა ეროვნულ თავისუფლებისათვის. ხოლო რამდენად რეზოლიუცია ჰგულისხმობს ქართველ სოციალისტებს, იგი წარმოადგენს სრულს უსაფუძვლობას: დამონებული ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, ბრძოლას რუს ბოლშევიკების წინააღმდეგ აწარმოებენ უპირველესად ქართველი სოციალისტები, ისინი არიან ამ საქმის ხელმძღვანელები და აძლევენ მას მიმართულებას. საქართველოს ბურჟუაზიული ელემენტები მეტად სუსტნი არიან და მათ წარმომადგენელ პარტიებს არ შეუძლიათ თავის მისწრაფებას დაუმორჩილონ ქართველი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლა. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენი ბურჟუაზიული პარტიები უკიდურეს მემარჯვენე მსხვილ ბურჟუაზიის ან ფეოდალების გამომსახველები იყვნენ. ისინი საერთოდ იზიარებენ დემოკრატიის მთავარი პრინციპებს. ასეთ პირობებში სრულებით არ ეკრძალების ქართველ სოციალისტებს თანამშრომლობა ქართველ ბურჟუაზიულ ძალებთან. პირიქით შეცდომა იქნებოდა მათის მხრით, რომ რუს ოკუპანტების წინააღმდეგ, საქართველოს განათავისუფლებლად არ მოუწოდონ ყველა მებრძოლს და

ეროვნული დამოუკიდებლობის დროშის გარშემო არ შემოკრიბონ მთელი ერი განურჩევლად კლასობრივი და სოციალური სხვა და სხვაობისა. განა ბუნებრივი არ იყო ევროპიელ სოციალისტების თანამშრომლობა ბურჟუაზიულ პარტიებთან დიდი ომის დროს სამშობლოს თავისუფლების დასაცავად? მაშ რატომ უნდა იყოს უცხო და დასაძრახისი მსგავსი საქციელი ქართველ სოციალისტებისათვის? განა საქართველოს უბედურება დღეს ნაკლებია? საქართველო დაკავებული არაა უცხო ჯარების მიერ? განა ქართველი ხალხი არაა დღეს ყოველ უფლება და ღირსება აყრილი? ყოველი თავისუფლება მოსპობილი არაა? დევნილი არაა ქართული კულტურა? გლეხები და მუშები არ იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში? უმეწყალოთ არ ხვრეტენ ქართველებს თავის სამშობლოში და საპრობილეები, ჩეკას სარდაფები სავსე არაა ქართველ პოლიტიკურ ტუსაღებით? დღეს საქართველო დაპრობილია უცხოელების მიერ, იგი უკიდურეს გასაჭირშია და ყველა ქართველ პარტიას მართებს ერთად ყოფნა, ერთის ფრონტით ბრძოლა ამ დიდი უბედურების თავიდან მოსაცილებლად. ხოლო თუ ქართველი ხალხის დღევანდელ განმანთავისუფლებელ ბრძოლას წინამძღოლობენ ქართველი სოციალისტები, ისინი აწარმოებენ საკუთარ პოლიტიკას, რომელიც ვისმესგან გარედან კი არაა ნაკარნახევი, არამედ გამოწვეულია მათი სინიდიისის და შეგნებისაგან, რომ საქართველო უნდა განთავისუფლდეს, უამისოდ შეუძლებელია ქართველი ხალხის განვითარება, შეუძლებელია დემოკრატია, სოციალიზმი, თუ ქართველ სოციალისტებს სწამებენ შოვინიზმს? რაში? ვის რას ვართმევთ ჩვენ? ვის რას ვედავებით? ვის ვესხმით თავს? ვის ვავიწროვებთ, ვდევნით? ჩვენ ხომ მხოლოდ ჩვენი სამშობლოს თავისუფლების აღდგენა გვინდა, ჩვენი უფლების დიბრუნება! ამას ხომ ვერავინ დაგვიშლის, განსაკუთრებით ის ერები, რომელთაც იციან ფასი ეროვნულ დამოუკიდებლობის, რომელნიც იბრძოდნენ მისთვის და დღეს სტკბებიან თავისუფლებით!

ძვირფასო ამხანაგო, თქვენ იცნობთ, გინახავთ საქართველო, გსმენიათ ქართველი ხალხის ხმა, მისი მაჯის ცემა, გულის ძგერა. მაგრამ სამწუხაროდ ბევრისთვის (სოციალისტებს შორის) საქართველო რაღაც ფიქციაა და არა ნამდვილი ცოცხალი ქვეყანა, ფხიზელი ერი, შრომისა და ცოდნის მოყვარე, ძველი კულტურული ტრადიციებით, რომელიც ისრისება დღეს მოსკოვის ჯარის ქუსლებით, რომელსაც ასე

სწყურია თავისუფლება, ასე ესწრაფვის ადამიანის უკეთეს ცხოვრებას.

რატომ ხდება ეს? მიტომ რომ საქართველო პატარაა, შორსაა, არაა ჩაბმული საერთაშორისო ინტერესებში?

ეგზეკუტივის დადგენილებას თქვენ წანუშმძღვარეთ ჭეშმარიტად კეთილშობილური მორიდებით წარმოთქმული სიტყვა, რომელშიდაც დიდი პატივით ეპყრობით შელახულ ეროვნულ გრძობას, მაგრამ მაინც მეტად მწარე შენიშვნებს აღლევთ დაჩაგრულ ერების წარმომადგენლებს და მათ შორის ქართველებს. თქვენ გვეუბნებით: «ეროვნულ მოვალეობის მაღლა ან მის გვერდით არსებობს მოვალეობა სოციალისტური და მოვალეობა ინტერნაციონალური. ისე უგუურად არავინ უნდა იმოქმედოს, რომ გამოიწვიოს მსოფლიო კატასტროფა და ჩვენ მუდამ ვაცხადებდით, რომ ყოველს შემთხვევაში უნდა დაეერიდოთ ომის შესაძლებლობას».

უნდა გულახდილად ვსთქვა, ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ამგვარი დაპირისპირება ეროვნულ და სოციალისტურ მოვალეობისა. სოციალიზმი ხომ არასოდეს მოითხოვს ეროვნების, ეროვნული თავისუფლების უარყოფას. პირიქით ეროვნული თავისუფლება—ეს აუცილებელი პირობა დემოკრატიისა—საძირკველია, რომელსაც უნდა დაემყაროს სოციალისტური წყობილება. სოციალიზმი ხომ მექანიკური, უსულო ინსტიტუტი არაა, არამედ ის ჰგულისხმობს ხალხის, ერის ცოცხალ ძალებს, თავისუფალს, შემოქმედს. სოციალიზმი მით არის ძვირფასი, რომ მის შემწეობით უაღრესად გაიშლება ერის ნიჭი და ყველა ერს მიეცემა საშუალება მონაწილეობა მიიღოს საერთო საკაცობრიო მუშაობაში. არც ხომ ეროვნული მოვალეობა ეწინააღმდეგება ინტერნაციონალურს. სრულიად უდავო უნდა იყოს ქორესის სიტყვები, რომ «თვით შეთანხმება ერებისა საბოლოო მშვიდობიანობაში ვერ წაშლიდა სამშობლოებს, რომლებიც დაიცავენ საკუთარ მოქმედებას მორიგებულ კაცობრიობისათვის» და «ცოტა პატრიოტიზმი ინტერნაციონალს გვაშორებს, ხოლო დიდს პატრიოტიზმს მისკენ მიყვევართ».

არც ერთი ევროპიელ ერის სოციალისტებს არასოდეს აუღიათ ხელი თავის სამშობლოზე და თავისი ეროვნული თავისუფლება არ შეუწყირავთ. ეს არც ვისმე მოუთხოვია მათგან. ნუ თუ მაგვეთხოვება ჩვენ—დამაზნებულ, დაჩაგრულ ერებს?

თქვენ გვირჩევთ, რომ ეროვნულ ბრძოლაში ვერიდოთ ომის შესაძლებლობას. რამდენად ეს შეგვეხება ქართველებს,

ჩვენ რასაკვირველია ფაქტიურად მოკლებულნი ვართ საშუალებას ომი გამოუცხადოთ ჩვენი თავისუფლების დამღუპველთ—მეტად აშკარაა განსხვავება ძალთა განწყობილებისადიდს რუსეთსა და პატარა საქართველოს შორის. მაგრამ პრინციპიალურად, რომ შესაძლებელი იყოს, რატომ არა აქვს უფლება დამონებულ საქართველოს ეომოს თავის დამმონებელს და ომით აღიდგინოს თავისი უფლებანი? ნუ თუ როდესაც ბელგია დაკავებული იყო ვილჰელმის ჯარებით, რომელიმე ბელგიელი იტყოდა, არ გვინდა ომი, ნუ ვეომებით მოძალადეებსო? ან სერბიელი, ან პოლონელი, ან ჩეხი ან სხვა ამისთანა მდგომარეობაში დაერიდა ომს? დღეს საქართველო დაკავებულია მტრის მიერ და მისი ცხოვრება საშინელია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, უეჭველია, ბოლო დროის ცნობები, რომლებიც ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ ბ. ქორდანიამ წეთელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს აუწყა ამას წინად: რა ამბები ხდება საქართველოს ჩეკაში, რა წამება, რა დაცინვა, რა შელახვა ყოველი ადამიანობის—საშუალო საუკუნოების და ინკვიზიციის ამბები! ნუ თუ ყველაფერი ეს უნდა ვითმინოთ «ქრისტიანულის სულგრძელობით», ვიდრე არ მოხდება ბოლშევიზმის მშვიდობიანი გარდაქმნა (!) და სოციალიზმი არ გაიმარჯვებს საყოველთაოდ?

მეტად მეგობრულის კილოთი გვეუბნებით: «ჩვენ უნდა გავიგოთ ჩვენი მეგობრების მდგომარეობა, ხოლო ჩვენც მოვიტხოვთ მათგან, გაიგონ ჩვენი აზრი. თქვენ გესმით ჩვენი განცდები. გინდათ ჩვენი შველა, რომ თავისუფლება დავიბრუნოთ. ხოლო არ გინდათ, რომ ამისთვის რაიმე საერთაშორისო გართულება მოხდეს. მაგრამ ჩვენ, ჩვენ კი გვინდა, რომ ჩვენს უბედურებას სხვათა უბედურება დავმატოს, რაიმე კატასტროფა მოხდეს? არა და არა. კიდევ რომ გვინდოდეს, განა დასაჯერებელია, რომ ჩვენ ამას შევსძლებთ; მოვანერხებთ? ჩვენ ეს არ გვინდა და არც შეგვიძლია, მაგრამ არ უნდათ და ვერ შესძლებენ კრემლის ბრძანებლები? განა ვისმე შეუძლია წარმოადგინოს იმის გარანტია, რომ ისინი სადმე არ გააჩაღებენ ომის ცეცხლს?

ეგზეკუტივი მოსკოვის დაპყრობილ ერების სოციალისტებს თითქოს შოვინისტობას უსაყვედურებს, თითქოს ურჩევს მათ, რომ ნაკლების ენერგიით იბრძოლონ ეროვნულ თავისუფლებისათვის; რომ ომი არ გამოიწვიონ, და ამავე დროს მიჩრდილულია ის უდიდესი საფრთხე, რომელსაც წარმოადგენს ბოლშევიკური სამეფო საერთაშორისო მშვიდობიანო-

ბისათვის, მიჩრდილულია იმპერიალისტურ-ნაციონალისტური პოლიტიკა ბოლშევიკებისა, რომლის მსხვერპლია ამდენი ერი!..

სოციალიზმი მოწინავე კაცობრიობის სინდისია, უმაღლესი სამართლიანობის მატარებელი, მომსპობი ყოველი ჩაგვრის და ძალმომრეობის. ძვირფასია მისი შესრულებული საქმე, დიდია, რასაც აკეთებს დღეს უკეთეს მომავლისათვის. ყოველი ქვეყნის დამონებული ერის და კლასის თვალი და ყური მისკენაა მიპყრობილი—მისგან მოელის მართალ სიტყვას და დახმარებას. კერძოდ ქართველი ხალხი ვერასოდეს დაივიწყებს იმ გულითადს თანაგრძნობას, რომელიც ჰპოვა მან თავის უბედურობის დროს ევროპის სოციალისტებს შორის. დაუფასებელი მორალური დახმარება, ყოველგვარი ხელის შეწყობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, დაულაღავი პროპაგანდა ჩვენთვის პრესაში, პარლამენტებში და კრებებზე—ყველაფერი ეს საერთაშორისო სოციალიზმა გაიხადა საკუთარ საქმედ. მუშათა სოც. ინტ. კონგრესების და ეგზეკუტივების დადგენილებანი აშკარად ღალატდებენ, თუ რაოდენის ყურადღებით ეპყრობიან სოციალისტები ჩვენს საკითხს. საქართველოს საუკეთესო მეგობრები სოციალისტებს შორისაა, რომელთა მეგობრული სიტყვა და თბილი მოპყრობა მუდამ ამხნევებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ერს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა ვსთქვათ მაინც, რომ მუშათა სოც. ინტერნაციონალის მოქმედება ისეთი დიდი საქმის შესახებ, როგორცაა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლება, არ არის ყოველთვის პირდაპირი, გაბედული, უკომპრომისო. ყველა კარგად უნდა ხედავდეს, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობა იქნება ცალიერი სიტყვა, თუ იგი არ დაემყარა ყველა ერის თავისუფლებას და თანასწორობას, არამედ მხოლოდ დიდი სახელმწიფოების ინტერესების მორიგებას. ევროპაში დღეს თითქმის ყველა ერი თავისუფალია, ხოლო ასე არაა აღმოსავლეთში და სხვაგან, რასაც საუცხოვოდ იყენებენ ბოლშევიკები ყოველგვარი საერთაშორისო გართულების გამოსაწვევად. თუ მუშათა სოც. ინტერ-ს უნდა მტკიცე მშვიდობიანობის დამკვიდრება, გადაჭრით უნდა მოკიდოს ხელი დაჩაგრული ერების განთავისუფლებას. დღეს ასე არაა ყოველთვის და იმ ორჭოფულ პოლიტიკისა გამო ბოლშევიკების მიმართ, რომელსაც იცავენ ზოგიერთი სოციალისტები, მუშათა სოც. ინტერ. ვერ ექიმავება დამონებულ ერებს ყოველთვის სამარ-

თლიანად და გაბედულად. ამას ზედ ერთვის მეორე დიდი ნაკ-
 ლიც, ის რომ სოციალისტებს შორისაც არაა სავსებით გან-
 ხორციელებული დიდი და პატარა ერების ინტერესების
 სწორუფლებიანობა და ხანდახან საკითხები წყდება მხოლოდ
 დიდი ერების გავლენით.

სოციალისტების მოქმედება ხშირად არ ეთანხმება
 მათ პრინციპებს და აზრებს. მე დავასახელებ ერთს ფაქტს
 სანიმუშოთ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სა-
 კითხის შესახებ. ჰამბურგის კონგრესმა დაავალა თავის წევ-
 რებს, ეცადეთ ყოველნაირად რომ მთავრობებმა იცნონ საბ-
 ჟოთა რესპუბლიკაო. ამავ კონგრესმა მოსთხოვა მათ, ყოვე-
 ლი ზომით ხელი შეეწყობთ საქართველოს განთავისუფლები-
 სათვის რუს ოკუპანტებისაგან. როდესაც ინგლისის მუშათა
 პარტია სათავეში მოექცა ინგლისის მართველობას, დაუყო-
 ნებლივ იცნო რუსეთი, მაგრამ სრულიად დაივიწყა საქართვე-
 ლოს საქმე და კიდევ დაადასტურა რუსეთის ძალმომრეობა.
 შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ რუსეთი დიდია და მის ინ-
 ტერესებს დიდი წონა აქვს ინგლისისათვის, მაგრამ სოცია-
 ლისტმა სხვა და სხვანაირად უნდა მიუზღოს სამართალი დი-
 დსა და პატარას?..

ალარ გავაგრძელებ და თავს არ მოგაწყენთ. ძვირფასო ამ-
 ხანაგო, ნუ იფიქრებთ, რომ მინდოდა საყვედურის თქმა ევრო-
 პის სოციალიზმის ხელმძღვანელებისთვის, განსაკუთრებით
 თქვენთვის, რომლის ღრმა პატივისცემა მაქვს მთელ ქართველ
 ხალხთან ერთად. მინდოდა მხოლოდ, როგორც სოციალიზმის
 უბრალო წევრს, რომელიც მთელი თავის ძალღონით 25 წე-
 ლი ემსახურებოდა სოციალისტურ იდეებს და სამშობლოს
 განთავისუფლებას, — გამეზიარებია თქვენთვის ის მწარე გრძნო-
 ბები, რომელთაც იწვევენ ჩემში მუშათა სოც. ინტერნაციო-
 ნალის ზოგიერთი მოქმედება. რაც ვთქვი, მათქმევინა სოცია-
 ლიზმის სიყვარულმა. ჩემი სურვილია, მისი დროშა ყოველ-
 თვის მადლა ფრიალებდეს და იყოს მუდამ უმწიკვლო და წმი-
 ნდა და ერთა განთავისუფლებასაც ემსახურებოდეს ენერგიუ-
 ლად, ვინაიდან დამონებული ერები სოციალიზმს ვერ შეი-
 თვისებენ.

მთელი ჩემის არსებით გთხოვთ მაპატიოთ, ძვირფასო ამ-
 ხანაგო, შეწუხებისათვის და მიიღეთ კვლავ ჩემგან უღრმესი
 პატივისცემა და მადლობა.

მარად თქვენი ერთგული ხ. ციხეაძე.

საქართველო, სომხეთი და კავკასიის კონფიგურაცია.

იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც კავკასიის დაპყრობილი ერები განთავისუფლებისათვის აწარმოებენ რუსეთის წინააღმდეგ, მებრძოლთა შეთანხმება და კავშირი, ბუნებრივად, წინასწარ პირობად უნდა გამხდარიყო. შეთანხმებას ამ ერებს შექმნილი მდგომარეობა იმპერატიულად უკარნახებდა და კავკასიის ერთა განმათავისუფლებელი კომიტეტი ამ საქმის პრაქტიკული გამოხატულებაა. მაგრამ ამ კავშირში და მის მუშაობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს სომხეთი, რომელსაც მისი მდგომარეობისა და პოლიტიკური წონის მიხედვით მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის კავკასიის საქმეებში. ეს გარემოება კავკასიის კომიტეტის მოღვაწეობის ერთ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ხოლო ამის პასუხისმგებელი კომიტეტის ხელმძღვანელი ვერ იქნებოდა, რადგან მათ ამ გარემოების მნიშვნელობა სათანადოდ აქვთ წარმოდგენილი და კიდევაც მიიღეს ზომები შეთანხმებისათვის, მაგრამ ეს ცდები ყოველთვის უშედეგოდ თავდებოდა. რადგან წინ ეღობებოდა ხან გადაჭარბებული პრეტენზიები, ხან კი სომხები სრულიად გაურბოდენ მოლაპარაკებას. ბუნებრივია, რომ კავკასიის ერთა მოურიგებლობას ისარგებლებდა დაინტერესებული მხარე. ამ უკანასკნელ ხანებში რუს ემიგრანტულ განეთებში ხშირად ვხვდებით სომხების ხელმოწერით ისეთ წერილებს, რომლებიც აძნელებენ ჩვენი და სომხების ურთიერთობის გაუმჯობესებას. ეს წერილები დადებითი მოვლენაა იმ მხრივ, რომ ბოლოს უღებენ იმ სიჩუმეს და მეზობლებისათვის გაურკვეველ ტაქტიკას, რომელსაც კარგი ხნის განმავლობაში მიმართავდნენ დაშნაკელები და სომხის სხვა პარტიები. წერილები, თუმცა მკრთალადა, მაგრამ გასაგებ სიცხადით ააშკარავებენ სომხეთის პოლიტიკის ხელმძღვანელთა მოთხოვნისა და ზრახვებს. წერილებიდან ირკვევა, რომ სომხებისათვის დაბრკოლებად კავკასიის ერთა განმათავისუფლებელ კომიტეტში შესვლისათვის უნდა ჩაითვალოს სომხ-ქართველთა სადავო საკითხების მოუგვარებლობა. რამდენათაც ვიცით, ასევე სადავოთ აქვთ სომხებს მთელი რიგი საკითხებისა აწერბეიჯანთან. მაგრამ ეს არ შეადგენს ამ განხილვის საგანს.

სომხების ხელმძღვანელთა პოზიციიდან ჩვენსა და კავკასიის კომიტეტის მიმართ აშკარად სჩანს, რომ ისინი მეზობლებთან ხელოვნიურად გაწვიადებულ სადავო საკითხების მო

გვარებას უფრო ზევით აყენებენ, ვიდრე საერთო ეროვნულ დამოუკიდებლობის მოპოვების უზრუნველყოფის საკითხს. თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ სომხები რუსულ პარტიებთან განურჩევლად მიმართულებისა ზედმეტი მეგობრული განწყობილება აქვთ და იმათვე მიმართავენ მეზობლებზე საჩივრებით, თითქოს შესაძლებელი იყოს რუსობის არბიტრის როლში გამოყვანა მეზობლებთან სადავო საკითხების მოგვარებისათვის, — უნდა აღვიაროთ, რომ უცხოეთში მყოფ სომხებს შესაძლებლად მიაჩნიათ თავის ბედის მოწყობა წინაამდებ მეზობელ ერების ინტერესებისა. ამიერკავკასიაშიც უარყვეს დაშნაკელებმა ცდა მორიგებისა განსაზღვრულ საკითხებში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ მაინც გვწამს, რომ ახლო მომავალში შევიქნებით მოკავშირეები, რადგან გვჯერა, რომ სომხის ხალხი პოლიტიკურ სისალეს და გონიერებას გამოიჩინეს და თავის დიდ ეროვნულ მისწრაფებებს არ დაუქვემდებარებს ქართველ სომხობის ადგილობრივ დავას. ჩვენს შორის შეთანხმების შესაძლებლობას არც ისეთი დაბრკოლება ელოდება, რომ მისი გადალახვა დაუძლეველი იყოს, თუ რომელიმე მხარე არ იმოქმედებს იმათ სურვილების მიხედვით, ვის რეალურ ინტერესს შეადგენს ჩვენს შორის შესაძლებელი უთანხმობა. ხოლო უნდა იცოდეს ყველამ, რომ ჩვენს შორის შეთანხმება ეხლაც და მომავალშიც შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ შეთანხმებას ყოველგვარ პირობების გარეშე საფუძვლად დაედება ხელუხლებლობა საქართველოს იმ ტერიტორიისა, როგორც ის დასტოვა ეროვნულ მთავრობამ. დემოკრატიული რეჟიმი და მისი კონსტიტუცია სავსებით უზრუნველყოფს სომხების თუ სხვათა ეროვნულ უმცირესობას და ფართო სარბიელს შეჰქმნის მათი როგორც კულტურულ ისე ეკონომიურ აღორძინებისათვის. უდავოა, რევოლუციამ და დამოუკიდებლობამ, ჩვენმა აგრარულმა რეფორმამ სომხობა, როგორც ეკონომიური კატეგორია სოფლად, გააუქმა, ქალაქში მისი როლი შეავიწროვა და პოლიტიკურად თავისი ხვედრი წონა არგუნა. ეს მოვლენა ტფილისის ყოფილ ქალაქის თავს ბ-ნ ხატისოვს მეტათ სიმბოლიურად აქვს აღწერილი თავის უკვე გამოქვეყნებულ მემუარებში. ის სწერს, რომ მთელი მისი წარსული მუშაობა, რომელიც იქითკენ იყო მიმართული, რომ შეექმნა ტფილისში და მის მხარეში სომხების ეროვნულ-კულტურული კერა, — რევოლუციამ ერთის დაკვრით გააქარწყლა. «თებერვლის რევოლუციის ერთი თვის

შემდეგ ტფილისის ქალაქის თავად რევოლუციამ ქართველი ნ. ელიავა მოიყვანა, სწერს ბ-ნი ხატისოვი, — და მე კი მეორე დღესვე ამირჩიეს ქალაქის თავად ალექსანდროპოლში. და ჩემი თანამშრომლებით იძულებული ვიყავი გამგზავრებულიყავ ქალაქში, რომელიც მხოლოდ ორმოციათასს მცხოვრებს ითვისლიდა!» მეტათ უიმედო, წარმოუდგენელია და ბევრთათვის მავნეც ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ ოდესმე არსებულ მდგომარეობას დავუბრუნდეთ. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ურთიერთობა და დავა ბნელმა ინსტიქტმა და თავისუფალ სტიქიამ გადასწყვიტოს.

ისტორიული აუცილებლობა კავკასიის ერებს უკარნახებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის გაერთიანებას, და ამ პირობებში რომელიმე ერის განცალკევებული ბრძოლა ერთის მხრივ ასუსტებს საერთო გამარჯვების შანსებს და ეხლავე მიგვითითებს მომავალში შესაძლებელ მწვავე უთანხმოებაზე. ეს კავშირი არაა გამოწვეული მარტო სადღეისო მოსაზრებებით, მხოლოდ მისი შექმნა და გამტკიცება თავდებია ამიერკავკასიაში ეროვნულ ზავისა. და რომელიმე ერის მშვიდობიანი აყვავება და ზრდა შეუძლებელია გარეშე კონფედერატულ კავშირისა. ეს დასკვნები სავალდებულოა მათვის, ვინც გულწრფელად იბრძვის თავის დამოუკიდებლობისათვის და სცნობს მეზობლების დამოუკიდებლობას. ამ არგუმენტებზე აშკარად არცაა დავა, მაგრამ წინასწარ შეთანხმების სურვილის უქონლობა საექვოდ ხდის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას. ჩვენთვის კავკასიის ერთა კონფედერაცია არ არის ფიქცია, — ის რეალურ შინაარსის მატარებელია, რადგან მასში შემავალ ერებს შორის განხეთქილების არსებული ფაქტორები უმნიშვნელოა შედარებით შემაერთებლებთან; და გვჯერა, რომ მხოლოდ ეს კავშირი ყველაზე მიზანშეწონილად უზრუნველყოფს ამ ერთა ნორმალურ განვითარებას და ინტერესებს. ჩვენ გვმართებს მხოლოდ ეხლავე გავფანტოთ ის ფსიხოლოგიური უნდობლობა და უკუუვადოთ ის ცრუ შეხედულება ამ კავშირზე, თითქოს მასში ზოგი მეტად და ზოგიერთი ნაკლებად დაინტერესებულია და ამიტომ თითქოს შესაძლებელი იყოს ერთის და მეორეს დაახლოვება მესამეს თუ მეოთხეს ხაოჯზე და წინააღმდეგ. წარსულში ქართველები მუდამ მეგობარნი იყვნენ სომხობის, მომავალში ამ მეგობრობას სომხობისათვის მეტი ფასი უნდა დაუბრუნდეს, სომხის ერის კულტურულ-ეკონომიური აღორძინება გარეშე ამიერ-კავკასიის ერთა ჭეშმარიტ და მძლავრ კავშირისა შეუძლებელია. მისი დამყარებისათვის

კი პირველ რიგში და დროზე საქიროა ჩვენს შორის არსებულ დავის ამოწურვა და კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამყარება.

ნოკ. ურუმადე.

სიტყვა მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ქვრიდანიახ.

(მისი დაბადების 60 წლის თავის ბანკეტზე წარმოთქმული)

ბ. თავმჯდომარე! ეს დღე—თქვენი დაბადების სამოცი წლის თავის გახსენება—ვიწროთ არ შემოიფარგლება, იგი სცილდება ამ დარბაზს. უცხოეთში გარდმხვეწილ ქართველთა შორის მართლ არ კპოვებს გამოძახილს. იგი იქ საქართველოში შეაერთებს მამულიშვილთა გულებს ერთის ფიქრით, ფიქრით სამშობლოზე, რომელიც იყო, რომელიც არის, რომელიც იქნება. ამისთანა დღეს გვმართებს. ერთხელ კიდევ გადავაგლოთ თვალი გარდასრულ საუკუნოებს და წლებს. გადავაბათ მათთან მქიდრო კავშირი, ჩაუკვირდეთ ჩვენი ერის ისტორიულ ბედს და წარსულის სახის გაცხოველებით უკეთ შევსძლოთ აწმყოს და მომავლის გათვალისწინება.

რა იყო ქართველი ერის ძველი ცხოვრება? ომები, ომები, დაუსრულებელი ბრძოლა თავის არსებობისათვის. ერის მდგომარეობა წარმოადგენდა შეიარაღებულ სამხედრო ბანაკს ყოველ მხრით შემოსეულ მტერთაგან თავის დასაცავად. თავი გავანებოთ წვრილმანებს. გავიხსენოთ მთავარი: რომი, ძველი სპარსეთი, ბიზანტია, არაბეთი, მონგოლეთი, ახალი სპარსეთი, ოსმალეთი და ბოლოს რუსეთი—აი უდიდესი მტრები საქართველოსი. რომლებიც ცთილობდენ ქართველობის ერთიან აღგვას დედამიწის პირიდან. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთის სხვა ერის ბედის სიმწარე არ შეედრება ქართველი ერისას. არა ერთხელ ყოფილა ჩვენი სამშობლო სრულიად აოხრებული. განადგურებული, სოფლები და ქალაქები მიწასთან გასწორებული. ხალხი ნახევრად გაწყვეტილი, ან უცხო მხარეს გადაკარგული. დღევანდელი ქართველობის რიცხვი არის მეოთხედი იმისა, რაც ოდესმე ყოფილა. ასი ათასები დაიღუპნენ გაუთავებელ ბრძოლაში, ასი ათასებს ამოხდათ სულები წამებასა და სიმშილში, ასი ათასები მოწყდნენ ტყვეობაში.

მაგრამ ეს მუდმივი ბრძოლაა დამახასიათებელი ჩვენი ერის ისტორიის, ეს სიმტკიცე, თავგანწირულობა, გმირობა, რომლითაც შეინარჩუნა თავისი პიროვნება? არა. მთავარი და გასაოცარი ჩვენს წარსულში ისაა, რომ ქართველი ერი ამ გა-

მუდმებულ ომების დროს იჩენდა იშვიათს უნარს სამოქალაქო მუშაობისათვის. მოუსვენრად, წლობით მტერთან მებრძოლი, ხშირად კერა-დანგრეული, დევნილი და ტანჯული ის მაინც ახერხებდა, კპოულობდა საშუალებას მდიდარი საკულტურო შემოქმედებისათვის. ძველად გაყვანილი სარწყავი არხები, საერო და საეკლესიო ნაშენები, ქართული მხატვრობა, მუსიკა, მწერლობა იპყრობენ საყოველთაო ყურადღებას. საქართველოს ყავდა მკვლევარები, ფილოსოფოსები, რომლებიც საპატიო მონაწილეობას იღებდენ მსოფლიო საკულტურო მუშაობაში; ჩვენში არსებობდენ უმაღლესი ხარისხის სასწავლებლები; ქართველებმა პეტრიწონში (ახლან. ბულგ.) მოაწყვეს სასწავლებელი, სადაც ყოველ საგანს ქართულად გადიოდნენ, და უცხოელ ისტორიკოსების სიტყვით ეს იყო ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი იმ დროს (მე-11 საუკ.) მთელ დედამიწაზე. გავიხსენოთ მე-16, 17 და 18 ს. ს. გასაოცარი მუშაობა ქართველების კულტურულ აღორძინებისათვის...

ეს კულტურის სიყვარული და კულტურული ძალა ყველაზე უფრო ნიშნობლივი და არსებითი თვისებაა საქართველოს წარსულის. აქ უპირველესად გამოაცხადა ქართველმა ერმა თავისი ეროვნული სახე. მაგრამ მისი ცხოვრების უდიდესი ტრაგედია ის იყო, რომ მისი სულიერი მოღვაწეობა არასოდეს ყოფილა დასრულებული. მეტად ჰქანცავდა მას განუწყვეტელი ომიანობა; ის ხშირად სხვისთვის მუშაობდა და არ ძალუძდა მთელი თავისი უნარი და ენერგია საკუთარ შემოქმედებისთვის მიეტანა. თან გარეშე მტრებმა რამდენჯერმე დაამსხვრიეს მისი კულტურა და შემდეგი თაობანი მარტო ზოგიერთ ნაფლეთებს და კპოულობდენ. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ქართველ ერს არ შეეძლო გამოეჩინა მთელი თავისი სულიერი პოტენცია...

ამ გარემოებას რომ ვიხსენებთ, ჩვენთვის სიცხადით იშლება განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი დროისა ქართველი ერის ისტორიაში. საქართველოს ისტორია არ გათავებულა, გრძელდება. ჩვენი, დღევანდელი ქართველობის, მოვალეობაა მოწყობა ქართული თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და რაც ვერ შესძლეს წინანდელებმა, ცუდი საერთაშორისო პირობებისა გამო, უნდა შევსძლოთ ჩვენ, უკეთეს პირობებში. მიდის ომების ხანა, იწყება ერთა დამოუკიდებლობა და ახალმა საქართველომ უნდა მოახერხოს დღეს, თავისი დრო, უნარი და ძალა მოახდომოს ქონებრივ კეთილდღეობას, საზოგადოებრივ ცხოვრების გაუმჯობესებას, კულ-

ტურულ მუშაობას და უნდა განავითაროს თავისი შემოქმედება უმაღლეს მწვერვალამდე. ის უნდა წარსდგეს კაცობრიობის წინაშე მთელი თავის სულიერის ძალით და ღირსებით.

ესაა ახლანდელი საქართველოს მოწოდება, ეს ჩვენ უნდა შევასრულოთ. ჩვენ შევასრულებთ ამას! ჩვენი სამშობლოს მიძიმე, მეტად მიძიმე ათასი წლები სრულის რწმენით და იმედით მოგვეყურებენ შორიდან და გვახალისებენ საბრძოლველად, სამოქმედოთ, რომ ერთხელ და სამუდამოთ ჩავაყენოთ ერის ცხოვრება წესიერ კალაპოტში და დავამკვიდროთ თავისუფლების და შემოქმედების ურყევ საფუძველზე... ბოლშევიკები კაცუნები სჩანან ქართველი ერის ზნეობრივი სიმტკიცისა და სულიერი სიდიადის წინაშე. ისინი ვერ შეაჩერებენ ქართველი ერის ისტორიას, ის გრძელდება!

ბ. თავმჯდომარე, თქვენ ხელმძღვანელობთ დღეს ქართველ ერს ამ ისტორიის გასაგრძელებლად. თქვენ გაუძევით ქართველ ხალხს 26 მაისის აქტის გაშლასაცხადებლად და დღეს მეთაურობთ მის ბრძოლას დამოუკიდებლობის აღსადგენად, ბრძოლას საქართველოს უკეთესი დღეების გამოსაქედად.

იყავით დღეგრძელი, იყავი მხნედ, თქვენთანაა ქართველი ერი!

ხ. ფიჭნაღაია.



მაისის 26—ჩვენი ეროვნული დროშა!

(ახალგაზდა ამხანაგებს)

საუკუნეების სიგრძე-სივანეზე ისტორიამ ზოგი ერი სავსებით მოინელა, ზოგი დაასნეულა, ზოგის სახე კი საყოველთაო პატივით და დიდებით შეამკა. განვლილ დროთა ამბები მხოლოდ ერთს აღნიშნავენ: ერი, რომელიც მოუმზადებელი აღმოჩნდა ეროვნული თვითშეგნებით, ყოველგან დამარცხდა. ვინ ჩამოსთვლის ერებს ეროვნულ თვითშეგნებით შეიარაღებულთ, ისტორიის სარბიელზე საკუთარი მეობის საუკეთესო დამცველებს, რომ მათ რიცხვში ქართველი ერი არ მოიხსენიოს?

უხსოვარ დროიდან აფრიალებულ ეროვნულ დროშას ქართველი ერი დღესაც არ ხრის და ეს ბუნებრივია, რადგან თავისუფლება და ეროვნული მეობა—უწმინდესი რწმენაა ქართველი ერის. 1918 წლის მაისის 26 აღდგენა იყო იმ უფლების, რომელიც ჩვენ ხალხს ისტორიულად ეკუთვნოდა. თავისუფლების მოპოვების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში ქართველი

ერი შეეცადა შესაძლებელ პირობებში თავისი სახელმწიფო-
 ებრივი უნარიანობა სხვა ერებთან მეგობრულ კავშირით
 დამტკიცებია, მაგრამ რუსეთმა მეორედ, ბოლშევიზმის სა-
 ხით, ქართველ ხალხს კვლავ წაართვა თავისუფლება. ბოლშე-
 ვიზმის ძალით შემოჭრამ საქართველოში, ქართველი ერის ნე-
 ბის წინააღმდეგ მომხდარმა ამბავმა, ერთხელ კიდევ გა-
 მოაცხადა იმპერიალისტური პოლიტიკის არსება. რუსეთი,
 რომელიც კომუნისტური სამოსელით მოირთო, რომელიც
 თითქმის ერთად ერთი დამცველია მსოფლიოში ჩაგრულ ერე-
 ბის, სწორედ ამ რუსეთმა დაამხო ჩვენი თავისუფლება! როდეს-
 საც ქართველი ხალხი მოპოებულ თავისუფლებას იცავდა,
 ყველა მოსალოდნელ საფრთხისაგან, კომუნისტურმა რუსეთ-
 მა იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა და მეგობრული კავშირიც
 კი შეკრა საქართველოსთან. მაგრამ ეს იყო ცარიელი სიტყვა,
 ნაფლეთი ქაღალდი. ვის არ ახსოვს 1921 წლის თებერვლის 11,
 რომელიც წემოხსენებულ აქტის დახვეა იყო და თავისუფლე-
 ბისათვის მებრძოლ ერის სისხლის მორევში ჩახრჩობის სურ-
 ვილი? ქართველ ერს მოუხდა ბრძოლა უსწორო ომში, ბრძო-
 ლა იმასთან, ვისაც ადამიანის უფლების გათახსირება აქვს
 განზრახული! 1801 წლის სექტემბრის 12-ის შემდეგ მოხდა
 1921 წ. თებერვლის 11. საუკუნის მანძილზე ქართველ ერმა
 მონობის უღელი ბორკილებით ატარა. რომანოვთა რუსეთის
 დროს ჩვენს ეროვნულ სხეულს ორთავიანი არწივი სძიძგნიდა.
 დღეს კი ლენინის დინასტიის რუსეთი—ქართველ ერს შუბ-
 ლზე ჩაქუჩსა სცემს და ეროვნულ სხეულს ნამგლით აცლის
 ნაწილებს... ბოლშევიკების საქმიანობა გრძელდება, იმავე
 გზით, რა გზითაც დაიწყო მათ მოქმედება, და რომელზედაც
 მათი დაღუპვა უკვე საეჭვო აღარ არის. ქართველი ხალხის
 გმინვა არც ისე იაფად დაუჯდება ბოლშევიკურ ხელისუფლე-
 ბას. კეთილშობილ ქართველთა რიგები მით უფრო მტკიცდე-
 ბიან, რაც უფრო მეტს დაუნდობლობას იჩენს ვერაგი მტერი-
 ვაი იმას, ვინც ცხოვრების სამართალს პასუხს ვერ უგებს—
 ბოროტებისათვის ბრძოლაში თვით ბოროტად დაიღუპება...

ჩვენს იდეას თუ კი ქონდა ოდესმე გამართლება ჩვენი
 ერის ცხოვრებაში, მით უმეტეს ეს ითქმის დღეს. მაისის 26
 ჩვენი პარტიის მიერ წინდაწინ გათვალისწინებული აქტია,
 ერის საკეთილდღეოთ ცხოვრების მოთხოვნილი. და დღეს
 თავდადებულნი უნდა ვიყოთ 26 მაისის აღსადგენად. მხნეთ
 ყოფნა და მებრძოლის სულის სიმტკიცე ბოლომდე!

ძვირფასო მამულიშვილნო, რომელნიც ჩვენი ერის სი-

ნამდვილეს შერჩით დღემდის, თქვენ უფრო მწვავეთ განიცდიით საშინელებას, რომელიც ქართველ ერს დაატეხა ბოლშევიზმმა ჩვენი ერის მოღალატეთა ხელშეწყობით. კარგად ვხედავთ იმ პირობებს, რომელშიდაც გიხდებათ მოქმედება, მაგრამ მაინც გულგაუტეხლად წინ იხედებით...

ვინ დაივიწყებს ჩვენი ერისათვის თავდადებულთ, მათ ძვირფასს საფლავებს. ღირსეულ ადამიანთ, ერისათვის ტანჯულთ, რომელთაც ხალხის განთავისუფლებას შესწირეს ის უძვირფასესი რამ სიცოცხლის სახით, რაც ადამიანს ხელმეორედ აღარ უბრუნდება. მოიგონეთ 1924 წლის აგვისტო-სექტემბერი, სისხლის მორევი, როდესაც ვერაგმა მტერმა არ დაინდო, ვინც ერთხელ კიდევ შეებრძოლა ძალით შემოჭრილ ბოროტებას. ჩვენმა ერმა გაიღო უწმიდესი მსხვერპლი უწმიდეს რწმენისათვის...

ბრძოლა გრძელდება. ქართველი ხალხი ქედს არ მოიხრის მტრის წინაშე, რადგან კარგად ესმის ეროვნული ღირსების თავდაცვა. საქართველო იბრძვის მაისის 26-თვის, რადგან ამ დღეს მან თავი დააღწია, ჩრდილოეთში გაქედილ ბოროკილებს, და ეს დღე უნდა აღადგინოს კვლავ!

ჩვენ კი მუდამ ეროვნულ უფლებებისათვის მებრძოლთ გვამხნევენს ჩვენი ეროვნული დროშა—მაისის 26. მათთან ვართ, ვინც ეროვნულ საქმეს ღირსეულად იცავს.

თქვენი ერთგული ძმები, უცხოეთის ცის ქვეშ მყოფნი, თქვენი თავდადების რწმენით გამტკიცებულნი მზად ვართ საჭირო მომენტში თქვენთან ერთად გავიზიაროთ ჭირიც და ლხინიც ეროვიულ საქმისათვის.

მაისის 26 ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ სწორ გზას, რომელიც ჩვენმა მიმდინარეობამ ქართველ ხალხში პირველად და უშიშრად წამოაყენა: ეროვნული გზით განვითარებისაკენ. კულტურისაკენ, სოციალიზმისაკენ!

დაულალავი მუშაობა, თავდადება—აი რას მოითხოვს ქართველი ხალხის განთავისუფლება.

ჩვენი მტერი დღეს-სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, სიკვდილის აჩრდილის წინაშე გამხეცებული საშინელ ზომებს მიმართავს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ მაისის 26-ის ურყევი რწმენა, გადაჭრით გვაძლავს:

ერის სადარაჯოზე ღირსეულად დგომას, რომ განთავისუფლების ქამს მოსალოდნელ თავდასხმას შინაურ და გარეშე მტრებისაგან ვუპასუხოთ ერთ მთლიან მოქმედებით. ეროვნული თვითშეგნებით, რომ ერთხელ კიდევ დავამცვიოთ,

რომ ეროვნულ უფლებებისათვის ბრძოლა ჩვენი ბუნებაა, რადგან ეროვნულ უფლების გაგებამ გვშვა ერის საკეთილდღეოთ და მასვე უნდა შევეწიროთ ღირსეულად.

ვანტანგ მკხვი.

ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მეთერთმეტე წელია ბოლშევიკების ბატონობა გრძელდება. საკმაოდ დრო ჰქონდათ, რომ რისიმე უნარი გამოეჩინათ რაიმე წარმატება მოეპოვებიათ. განვლილი წლების უბრალო არსებობას უნდა განემტკიცებია მათი მდგომარეობა, უნდა შეექმნა გარეშეებისთვის რწმენა, რომ ბოლშევიკური წყობილება ცხოველმყოფელია და საჭიროა მასთან შეგუება, შეთანხმება, ანგარიშის გაწევა. მაგრამ ნამდვილად დღეს, ათი წლის შემდეგ, ბოლშევიკები განიცდიან ისეთ კრიზისს, როგორც არასოდეს უნახავთ. ახლანდელ მათ ვითარებას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ სრული გაკოტრების სახელი.

სოციალიზმის განხორციელება რუსეთში და მსოფლიო რევოლუციის მოწყობა—აი რა იყო მიზანი ლენინისა და მისი მიმდევრების. ხოლო ბოლშევიკები, თავის ოცნებაშიც კი, არაოდეს ყოფილან ასე დაშორებულნი ამ საწადელს, როგორც ამ ქამად არიან. მათი გაზეთების და კრებების ყიყინა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი არის «გლახთა და მუშათა» ბატონობის სამეფო, სადაც გასაოცარის ინტენსივობით და სისწრაფით ვითარდება სოციალისტური აღმშენებლობა.—რასაკვირველია ოდნავი ყურადღების ღირსი არაა. რუსეთის აწინდელი ცხოვრება არამც თუ არაფერს სოციალისტურს არ შეიცავს, იგი მოკლებულია იმასაც კი, რაც მოეპოვებოდა ძველს წესწყობილებას. მუშათა და გლახთა მონაწილეობა სახელმწიფო მართველობაში ძალზე უმნიშვნელოა და თუ მაინც ყველგან მათი სახელია გამოფენილი, არსებითად მუშაც და გლახიც დღეს უფრო გაქავებულია, მშიერი და შიშველი, უბინაო, როგორც არ ყოფილა მეფეების დროს.

რუსეთში დღეს გაცილებით ნაკლები მიწაა დამუშავებული, ვიდრე იყო ომამდე და მიუხედავად იმისა, რომ გლახობას იძულებით მეტად დაკლებულ ფასებში ართმევენ სოფლის ნაწარმოებს, პური და სხვა საკვები ორჯელ-სამჯერ უფრო ძვირად ფასობს. ფაბრიკა-ქარხნები, რომელთაც დაეპატრონენ ბოლშევიკები, იმდენად უვარგისად არიან მოწყობ-

ბილნი, ისეთი უთავბოლობა, ბიუროკრატიზმი და მექრთამეობაა გამეფებული, რომ ვერ ამზადებენ საკმაო საქონელს და რასაც აკეთებენ, არის ცუდი, უვარგისი და უზომოთ ძვირი. ყველა სავაჭროს კარზე გრძელ-გრძელი რიგებია და სანატრელი გახდა საჭირო საქონლის შეძენა. სახელმწიფო სამართველო აპარატი მეტისმეტად მრავალრიცხოვანია და ისეთის ფორმლობითაა გამსჭვალული, როგორიც არ ჰქონდათ მეფეების მოხელეთ.

კულტურული დონე დაქვეითდა. სახალხო განათლება დაბალი თუ საშუალო დაეცა. უმაღლესი სასწავლებლები ძლივს ლაფავენ სულს. მეცნიერება დევნილია. ხელოვნება—თუმცა ბოლშევიკები ბევრს ფართიფურთობენ მის გარშემოვერაავითარს შემოქმედებას ვერ იჩენს. ეს თავისთავად გასაგებია, ეს კულტურული დაქვეითება სრულიად ბუნებრივია ბოლშევიკურ წყობილებაში, რომელმაც მოჰკლა ყოველი თავისუფალი აზრი, ჩაახჩო ნიჭი, გაანადგურა პიროვნება, გაათახსირა ადამიანური ღირსება, აღკვეთა ყოველი თავისებურება. განა შეიძლება რაიმე კულტურული მოქმედება და დაწინაურება იქ, სადაც აბსოლუტური მონობაა დამყარებული, ადამიანი ყოველმხრივ შებორკილ-შეხუთულია? და სადაც ზნეობა პატიოსნება, სინიდისი სამრცხვინო ბოძნეა გაკრული და ყოველი მორალური გრძნობა ჩამხრჩვალაია თუ სავსებით ამოფხვრილი? სადაც უპრინციპობა უმაღლესი თვისებაა?

ბოლშევიკებმა მოინდომეს ცხოვრების პრიმიტიულად მოწყობა, ახალის, ბოლშევიკურის მეთოდით და ათი წლის მუშაობის შემდეგ ნათელჰყვეს, რომ მათის გზით არა თუ ახალი ცხოვრების აგება არ შეიძლება, არამედ ძველის გაგრძელებაც კი მოუხერხებელია. მათი დღევანდელი დიდი ეკონომიური შევიწროვება, გამწარებული ძებნა საგარეო სესხისა, შინაური პარტიული ბრძოლა—ერთს ლაღადებს მხოლოდ, რომ საბჭოთა სამეფოს არ მოეპოვება არავითარი მკვიდრი ძალა. უგუნურებასა და ძალმომრეობაზეა დამყარებული და დღეს თუ ხვალ უნდა დაინგრეს სტიქიურის აუცილებლობით. ათი წელიწადი (ზევრია მისთვის, რომ გაძლო და თუ აქამდის არ დაიღუპა, აიხსნება იმით, რომ რუსეთი ასე თუ ისე განზე მდებარეობს, განუვითარებელ მეურნეობით ცხოვრობს და ნაკლებადაა ჩათრეული საერთაშორისო ეკონომიკაში.

ეს ერთი მხარეა ბოლშევიკების დღევანდელ მდგომარეობისა. მათ უნდოდათ სოციალიზმის განხორციელება რუსეთში

—ეს ვერ შეასრულეს. არც უნარი შესწევდათ საამისო, არც პირობები იყო შესაფერისი. მაგრამ მათი მიზანი იყო აგრეთვე მსოფლიო რევოლუციის გამოწვევა და «პროლეტარიატის დიქტატურის» დამყარება მთელს დედამიწაზე (აღზად ისეთის, როგორიც რუსეთშია). ეს საქმე კიდევ უფრო უიმედოა. ბოლშევიკებიც კარგად ხედავენ ამას დღეს, ხედავენ ყოველ შემთხვევაში ისინი, ვისაც ოდნავ სიფხიზლე შერჩენია. მაგრამ მაინც იარაღს არ ყრიან და ასმილიონობით ხარჯავენ თუ რევოლუციის მოსახდენად არა, რაიმე გართულების, შეხლა შეტაკების და ომის გამოსაწვევად მაინც ევროპის სახელწიფოებს შორის. ბოლშევიკები ფიქრობენ, რომ ევროპის გაჭირვება რუსეთისთვის დაღწინება იქნება, რომ თუ ევროპაში ცეცხლი დაინთო, ბოლშევიკები ხელს მოითფობენ, თავის ფულებით უცხოეთში კომუნისტურ მოძრაობას ქმნიან, ახალშენებში აჯანყებებს აწყობენ, არა იმისთვის, რომ მათი განთავისუფლება აწუხებდეთ, არამედ იმიტომ, რომ უნდათ ამით ევროპის სახელმწიფოებს მდგომარეობა გაუმწვავონ, ხიფათში ჩააგდონ. ამავე დროს გაშმაგებით ებრძვიან ევროპის საღს მუშათა მოძრაობას, სოციალისტებს გამცემლებს ეძახიან და მზად არიან, უკიდურეს მემარჯვენეებს მოურიგდენ ვიდრე რაიმე კავშირი დაიკავონ სოციალისტებთან. ბოლშევიკების ტაქტიკა საფრანგეთის უკანასკნელ არჩევნებში აშკარად ამტკიცებს, რომ მუშათა კლასის საქმის დამღუპველები არიან ბოლშევიკები.

კომუნისტების ასეთი მოღვაწეობა დღეს საყოველთაო აღშფოთებას იწვევს მთელს მოწინავე კაცობრიობაში. თავში ყველას ეგონა, რომ მათი ექსპერიმენტებიდან რამე დადებითი გამოვაო, და ზოგი კეთილგანწყობილად უყურებდა ბოლშევიკებს, ზოგიც ნეიტრალობას იცავდა, განზე დგებოდა. დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ევროპა გაეცნო კარგად ბოლშევიკების მოღვაწეობას. ხედავენ როგორ დაანგრიეს რუსეთი, რა გაჭირვებაში ჩააგდეს, რუსის ხალხი და როგორი იმპერიალისტური გაუმაძღარობა გამოიჩინეს პატარა თავისუფალ ერების მიმართ. ხედავენ აგრეთვე იმასაც, თუ რა მოწადინებულნი არიან ისინი, რომ ისეთივე არვედარევა შეიტანონ ყველგან, ისეთივე ბედი დაატეხონ დანარჩენ ქვეყნიერებას, რაც ხვდა მათის წყალობით რუსეთს. ამიტომ წინანდელი მოთმინება, პასივობა და ნეიტრალობა გაჰქრა და დღეს არავინ უცქერის ბოლშევიკების მუშაობას, როგორც მისთვის გარეშეს. პირიქით ახლა ყველა დარწმუნებუ-

ლია, რომ ის წყობილება, რომელიც დამყარებულია რუსეთში და რომლის გავრცელებას ბოლშევიკები ცთილობენ მთელ დედამიწაზე.—ეხება არსებითად ევროპის ყველა სახელმწიფოს, ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს.

დღეს ბოლშევიკური რუსეთი სრულიად გამიშვლებული დგას ქვეყნიერების წინაშე—ყველასათვის ნათელი და ხილულია და იგი მწვავედ დაუპირდაპირდა ევროპულ კულტურას, მის დემოკრატიზმს, მის ზნეობრივს შეგნებას. საუკუნოების განმავლობაში იბრძოდა ევროპა თავისუფლებისა, ადამიანობის პატივისცემისა და დემოკრატიული წესწყობილების დასამყარებლად. ბოლშევიკებს სწადიათ ყველაფერი ეს დაამსხვრიონ და ამდენი ნამოღვაწარი წაშალონ. ხანგრძლივი მუშაობა და დიდი ომის ვაკვეთილები დაქინებით უკარნახენს განათლებულ ერებს, ყოველგვარის საშუალებით შეებრძოლონ ომის შესაძლებლობას და სოციალური საკითხებიც გადასწყვიტონ დემოკრატიული წესებით და არა სამოქალაქო ომებით და ინკვიზიციის აღდგენით. ბოლშევიკების მთელი გულისყური კი იქითკენაა მიმართული, რომ ევროპის ერებმა სისხლში ჩაახრჩონ ერთმანეთი და ჩეკას სატუსაღოებით მოჭედიონ მთელი ქვეყანა...

ევროპის გონიერებისათვის ეს ყოველივე მიუღებელია. მისი შემეცნებით ბოლშევიზმის შემოჭრა ევროპაში იქნებოდა უდიდესი საშიშროება, იგი დააქცევდა დასავლეთის კულტურას, რომლითაც სამართლიანად ამაყობს კაცობრიობა. ეს იქნებოდა გავლურება, ეს იქნებოდა საუკუნოებით უკან დახევა.

ბოლშევიზმი უნდა აილაგმოს, ბოლშევიზმი უნდა გაქრეს—იგი უდიდესი საფრთხეა—ამის შეგნება დღითი დღე იბრძება და ფართოვდება დღეს ევროპაში.

ბ. დეკანოძე.

კომუნისმი კომუნისტის დასახიათებით.

დღეს მრავალი წერილი იბეჭდება უცხოეთში არა მარტო ბურჟუაზიულ და სოციალისტურ გაზეთებში, არამედ თვითონ კომუნისტების ორგანოებში იმ საშინელი გახრწილების და დაცემის შესახებ, რომელშიც იმყოფება ბოლშევიზმი. მოგვყავს აქ სანიშნუმოთ ერთი ფრანგის ცნობილი კომუნისტის ფერნ. ლორიოს აზრი: «დღევანდელი კომუნისმი

იმით ხასიათდება, რომ სახელი გაუტეხა და პოლიტიკურათ მოჰკლა ის ხალხი, რომელმაც უარი სთქვა ეაზროვნა ისე, როგორც მას უბრძანებდენ; რომ მან შექმნა ყოველგვარი გაბრწილებისა, გაუმაძღრობისა და პატივმოყვარეობისაგან შეზავებული ინტერნაციონალური ბიუროკრატია—მრავალ სართულიან იერარქიით. უბრალო საწარმოო უჯრედებიდან და პოლიტიკურ, იურიდიულ თუ ადმინისტრაციულ ინსტაციებიდან დაწყებული და მოსკოვის უზენაეს მთავრობით გათავებული. ეს ბრძნული ორგანიზაცია საუცხოვო კარგადაა მოგონილი იმისთვის, რომ დაიმონოს, გარიყოს და ჩააღრჩოს აზროვნება და ამით შესაძლებელი გახადოს თვისი უპასუხისმგებლო მართვა-გამგეობა და ხელუხლებლობა,—ორგანიზაცია—ნაწილობრივ ჯარისგან და ნაწილობრივ ეკლესიისგან ნასესხებ დისციპლინით გამაგრებული.

მორალურად პარტიას ან უკეთ, რადგანაც პარტია უკვე აღარ არსებობს. ამ ახალ ფორმაციას ის ახასიათებს, რომ იგი მუშათა და რიგის პარტიულთა ფართე მასებს უაღრეს ზიზღით უტყერის, რომ იგი დემაგოგობს და უზნეობას მფარველობს.

გაიძვერობა, ორგულობა, მატყუარობა, ცილისწამება—აი იარაღები მომართული იმ ამხანაგების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ უფროსების ბრძანების წინაშე ქედს ას იხრიან.

ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებია მრავალი სხვა თვისებაც ამ გადაშენებულ კომუნისმისა, რომლის მიმდევრები თავიანთ მეთოდებით და აზროვნებით იეზუიტებს უფრო გვაგონებენ.

მაგალითისთვის მოვიყვანოთ თუნდაც მისი ფანატიკური სიძულვილი კრიტიკულ აზროვნებისა. როდესაც სურთ მოწინააღმდეგის დამორჩილება, რუსულ კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელები და ინტერნაციონალურ მოხელეთა ლამქარი მას საჯაროთ აბრალევენ რევოლუციონურ რწმენის უქონლობას. ეს მეტათ მოხერხებული ბრალდებაა და მისგან თავის დაცვა შეუძლებელია, ვინაიდან იგი ძლიერ მოქმედებს პარტიის გამოუცდელ (ახალ) ელემენტებზე (და დღევანდელი პარტია კი მხოლოდ ასეთებისაგან შესდგება). რომლებსაც მეტათ ეზარებათ იმის გაგონება, თითქოს მათ რევოლუციონური რწმენა აკლდეთ.

საფრანგეთში, ისე როგორც სხვაგან, კომუნისტური პარტია მხოლოდ მოსკოვის დახმარებით საზრდოობს.

მას არ აქვს ამ ქვეყანაში არავითარი მატერიალური ან მორალური საფუძველი.

მართალია მან ისარგებლა ხელსაყრელი პირობები და მუშათა განხეთქილება და მის შემწეობით უნიტარული შრომის კონფედერაცია ხელში ჩაიგდო, მაგრამ მისი გავლენა ამ დარგშია ც მუდმივ კლებულა, მისი საკუთარი ეფექტივები ყოველ დღე მცირდება.

ორმოც მილიონიან ქვეყანაში მას 35.000 რეგულიარულ წევრზე მეტი არ ყავს.

პროვინციაში კი, კომუნისტურ პარტიას ხშირად მხოლოდ მისი მოხელეები და ცენტრის მიერ გამოცემული განხეთები წარმოადგენენ.

საწარმოო უჯრედების, ამ ორგანიულ პოლიტიკურ საფუძვლის, შექმნის ცდა საბოლოოთ ჩაიშალა.

პარტიას არ აქვს თავისი საკუთარი სპეციფიური ცხოვრება; იგი თავისსავე აპარატით ამოიწურება; ეს უკანასკნელი კი მოსკოვის ბრძანებათა შესრულების გარდა არაფერს აკეთებს.

განა შესაძლებელია, კომ. მუშათა ინტერნაციონალი ვუწოდოთ მოხელეთა ლაშქარს, რომელიც გაწიწმატებით ცდილობს საბჭოთა ბრძანებათა მიხედვით და რუსულ ინტერესების სასარგებლოთ აამოძრავს მსოფლიო პროლეტარიატი? ორგანოები, რომლებისგანან იგი შესდგება პარტიული არაა; ისინი მოხალისეთა მილიციაა, რომელიც წააგავს ფაშისტურ მილიციას.

უკანასკნელის მსგავსად კომუნისტური ორგანიზაციები სამხარი ორგანიზაციებია, კრიტიკული აზროვნება იქიდგან განდევნილია. ამ ორგანიზაციებს მხოლოდ უხეში ძალის ხმარების უნარი აქვთ. როგორც ფაშისტური მილიცია, კომუნისტური ორგანიზაციები დიქტატურის იარაღია.

ამას არც თვით კომუნისტური პარტიები მალავენ; მხოლოდ ისინი ამტკიცებენ, რომ მათი ძალადობა რევოლუციონურია, რომ ისინი ბურჟუაზიას ებრძვიან და პროლეტარიატის დიქტატურას ემსახურებინ. მაგრამ მათი პრეტენზიები არაა მართებული.

დღეს კომუნისტურ პარტიას და რევოლიუციონურ პროლეტარიატის აქტივობას ერთმანეთში საერთო არაფერი აქვთ რა...